პროექტი

საქართველოს კანონი
,, ქონების ლეგალიზების შესახებ'' საქართველოს კანონში დამატების შეტანის შესახებ''

მუხლი 1. „ქონების ლეგალიზების შესახებ" საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N26, 11.07.2007, მუხ. 235) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება:

1. კანონს მე–6 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 მუხლი

,,მუხლი 6^1. უძრავი ქონების ლეგალიზების სხვა საფუძვლები.

1. ამ კანონით განსაზღვრული წესებისგან განსხვავებით, 2012 წლის 1 იანვრამდე შეტანილ განცხადებებზე უძრავი ქონების ლეგალიზების საფუძველია 2007 წლის 1 იანვრამდე კანონდარღვევით შედგენილი:

ა) მიწის რეფორმის კომისიის მიერ გაცემულ მიღება–ჩაბარების აქტი;

ბ) მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო მოწმობა;

გ) მებაღეობის ამხანაგობის მიერ გაცემული წიგნაკი;

დ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

2. ლეგალიზების საფასური შეადგენს უძრავი ქონების ნორმატიულ ფასს, ხოლო თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, მცხეთის, დაბა ბაკურიანის, დაბა გუდაურის და სოფელ ანაკლიის ადმინისტრაციულ ტერიტორიებში მოქცეული უძრავი ქონების ლეგალიზებისას – ერთ კვადრატულ მეტრზე 10 ლარს.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული წესით ქონების ლეგალიზების შემთხვევაში ქონების მესაკუთრე და ლეგალიზების განმახორციელებელი პირი თავისუფლდებიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან, ასევე წყდება დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა უძრავი ნივთის მესაკუთრისა და ლეგალიზაციის განმახორციელებელი პირის მიმართ.

4 .ქონების ლეგალიზება შეიძლება განხორციელდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც, გარიგების შედეგად უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება გადასულია ახალ მესაკუთრეზე.

5. ამ მუხლით დადგენილი წესით, ქონების ლეგალიზების განმახორციელებელი ორგანოა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

6. ამ მუხლის მოქმედება არ ვრცელდება ,,ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზესაკუთრების უფლების აღიარების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებზე, ასევე ისეთ შემთხვევებზე, როდესაც უძრავ ქონებაზე არსებობს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი/გამოცემული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი.".

მუხლი 2

კანონი ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი